

140
1971

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅԵՐԱՊՈՒՅՅ



ՅՈՒՆԵՍԿՈ . 6 . 1971 .

ხუთწლედის
 მთავარი
 ამოცანაა,
 უზრუნველყოთ
 ხალხის
 სხობრების
 მავარილური
 და კულტურული
 ღონის შვედგომი
 ამაღლება
 სოსილისტური
 ნაკომების
 განვითარების
 სწრაფი
 ვეების,
 მისი
 ეუფევიანობის
 ამაღლების,
 მესნიერულ-
 ვენიკური
 პროგრესისა
 და პრომის
 ნაყოფიერების
 ზრდის
 დაჩქარების
 საუუქველვა

ლ. ი. ბრეჟნევი




ხუთწლედის ნახიჯები

სიტყვა „ხუთწლელი“ შთამბეჭ-
 დავი, ახლობელია ყოველი საბჭო-
 თა ადამიანისათვის. ეს სიტყვა
 ფართო რეზონანსად გაისმა მთელ
 მსოფლიოში ოთხ ათეულ წელზე
 მეტი ხნის წინათ, როცა ჩვენს
 ქვეყანაში პირველი ხუთწლიანი
 გეგმა მუშავდებოდა. ეს სიტყვა
 მესხიერებაში აღადგენს იმ გმი-
 რულ, თავდადებულ ბრძოლასა
 და შრომას, რომელიც საბჭოთა
 ხალხმა კომუნისტური პარტიის
 ხელმძღვანელობით გასწია ჩვენს
 ქვეყანაში სოციალისტური საზო-
 გადოების აშენებისათვის, კომუ-
 ნიზმის მშენებლობისათვის. სიტ-
 ყვა „ხუთწლელი“ მოგვავიწყებს
 კაპიტალისტური, მოუწყნარებე-
 ლი, ანარქიული ეკონომიკის წი-

ნაშე სოციალისტური გეგმიანი
 მეურნეობის უპირატესობას. საბ-
 ჭოთა ხუთწლედების ისტორია
 ორგანულად შერწყმულია სსრ
 კავშირში სოციალიზმის (კომუნი-
 ზმის) მშენებლობის ისტორიას-
 თან.

პირველი ხუთწლიანი გეგმით
 ჩვენში ფაქტურად დაიწყო სო-
 ციალიზმის მშენებლობა. მიმდინ-
 ანარე ხუთწლელი თვლით მეცხრე
 ხუთწლედია, რომლის დირექტივე-
 ბი ერთსულდენად მოიწონა პარ-
 ტიის XXIV ყრილობამ. ახალი
 ხუთწლიანი გეგმის დირექტივებია
 ახალ ძალასა და ენერჯიას მატებს
 მშრომელებს მოქმედებისათვის.
 მათ ციან, რომ ხუთწლიანი გეგ-
 მის წარმატებით განხორციელება



დღემწიშენლოვან ეტას მოსწავებს კომუნისტების გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. ამით აიხსნება ის, რომ დღეს ბუთუნუდის დირექტივებში მილიონობით მშრომელთა ყურადღების ცენტრშია. პარტიის გეგმა ხალხის გეგმა — ამ დღეიდან შეუდგა ჩვენი ხალხი ახალი ბუთუნოვანი გეგმის განხორციელებას.

მერვე ბუთუნუდამ ბევრი მნიშვნელოვანი რამ შეისინა ჩვენს საშობლო, ბევრი სიკეთე მოუტანა საბჭოთა ხალხს. როცა კითხულობ დირექტივებს და ანალიზს უკეთებ დირექტივებში მოყვანილ ციფრებსა და ფაქტებს, ცხადად ხედავ, თუ რა უზარმაზარ ეკონომიურ ძლიერებას მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ. ამჟამად ჩვენი სახალხო მეურნეობა ერთ დღეშია ათჯერ მეტ საზოგადოებრივ პრადუქციას იძლევა, ვიდრე 1940 წელს ყოველდღიურად. კიდევ ერთი შედარება: მარტო 1970 წელს გამოშვებული იქნა დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომამდელი ბუთუნუდის განმავლობაში.

ყოველი ბუთუნული აგრძელებს წინა ბუთუნუდის საქმეს, ჰგავს მას მთავარში, ძირითადში. მაგრამ, ამასთან, ყოველ ბუთუნუდს აქვს თავისი სახე, თავისებურება. ამ თავისებურებებს ითვალისწინებს კომუნისტური პარტია, რო-

ცა განსაზღვრავს ახალი ბუთუნუდის ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეტენევმა თავის მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნა, რომ პარტიის ეკონომიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, ე. ი. მიმდინარე ბუთუნუდისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, არსებითად შეიცავს სამ საკვანძო საკითხს: ჯერ ერთი, ეს არის იმ მთავარი მიზნების საკითხი, რომელთა მისაღწევად წარმართავს პარტია საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას; მეორე, იმ წყაროებისა და რესურსების საკითხი, რომელთა მოპოვებისა და კონკრეტული საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის; და მესამე, ეს არის მეურნეობის მართვისა და გაძლიერების საკითხი, რომელზეც უნდა უზრუნველყოფილი იქნას სწრაფი განვითარება.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ამ კურსს ახაზავს მეცხრე ბუთუნოვანი გეგმის დირექტივები.

ყველაფერი აბამიანის კათილდღეობისათვის

თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენში ყოველწლიურად მრავალი გზა, შახტი, ელექტროსადგომი შენდება. რა მიზნისათვის ეკუთვნის ყველაფერი ეს? მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მუდამ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების განვითარება იმით ხდება, რომ კაპიტალისტებმა მეტი მოგება მიიღონ, სოციალიზმს ის უპირატესობა აქვს, რომ აქ წარმოება მშრომელი ხალხის ინტერესებს ემორჩილება. მშრომელთა კეთილდღეობისათვის ხდება ჩვენში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების დაჩქარებული განვითარება. ყველაფერი აბამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — ეს არის ჩვენი კომუნისტური პარტიის

დაიდი დევიზი. ხალხის კეთილდღეობისათვის ურუნვა პარტიის უპირატესი მიზანია, იგი მუდამ წითელ ზოლად გასდევს ჩვენი პარტიის ისტორიულ მოღვაწეობას. ახალი ბუთუნოვანი გეგმის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მასში წინა პლანზე წამოწეულია ხალხის კეთილდღეობის, ხალხის შრომისა და ყოვან-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სტრატეგიის მთავარი ამოცანა, — ვეითვლებოთ დირექტივებში, — ის არის, რომ უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფ ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე. რა გეგმად ამ მხრივ მერვე ბუთუნუდში? ბევრი რამ. გადაჭარბებით შესრულდა მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების ძირითადი დავალებები. მაგალითად: მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 26%-ით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 20%-ისა, და შედარებით 122 მანეთი, ნაცვლად 1965 წლის 96,5 მანეთისა. ახალ ბუთუნუდში საშუალო ხელფასი გაიზარდა 146-140 მანეთამდე. კომლექსურთა შემოსავალი 1970 წელს 50%-ით გაიზარდა 1965 წელთან შედარებით. ახალ ბუთუნუდში იგი 80-85%-ით გაიზარდება. მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა, საიდანაც მოსახლეობა იღებს შეღავათებსა და

58511


JAMELSA

6
ივნიანი
1971

საქართველოს ახალი გაზეთი
საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარებისათვის
საბჭოთა კავშირის მშენებლობისათვის
საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარებისათვის
საბჭოთა კავშირის კულტურის განვითარებისათვის

ბათუმი 1926 წლიდან

სა. კ. მ.-ის
გამომცემლობა



უფასო დახმარებას, მერვე ხუთწლიანი ბოლოს მამილიარდი მანეთი შეადგინა. 1975 წლისათვის იგი 90 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. სახიანო მშენებლობა ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ხალხის კეთილდღეობისა. ვასულ ხუთწლილში აშენდა 11 მილიონ 850 ათასი საცხოვრებელი ბინა, სადაც ახალშობილებსა და ბავშვებს ადამიანმა იციან. ეს თითქმის იგივეა, რომ ჩვენს ქვეყანაში ნი-ზე მეტი დიდი ქალაქი აშენებულიყო მილიონი მცხოვრებით თითოეული. მსოფლიოში ვერ ნახავთ მეორე ქვეყანას, რომელსაც ამდენი ბინა აეშენებინოს უყანაქნელ ხუთ წელში. სახიანო მშენებლობის უფრო გავრდილი მასშტაბები გათვალისწინებული მეცხრე ხუთწლიელს დირექტივებში.

აშენდება 565-575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. დაახლოებით 60 მილიონი კაცი მიიღებს ახალ საცხოვრებელ ბინას. დიდი შრომაა გაწეული მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კიდევ უფრო დიდი ღონისძიებები გათვალისწინებული ახალ ხუთწლიელში. ახა, მიიღებ-მოიხდებთ თქვენს ირგვლივ, როგორ შესამჩნევად ფართოვდება თეატრების, კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების ქსელი, იზრდება წიგნების, უფრნალ-გაცემების ტრიაფი. ახლა იზიანათ თუ ნახავთ ოჯახს, რომელსაც არ მქონდეს ტელევიზორი, რადიო-მიმღები, მაცივარი, სარეცხი მანქანა და სხვა სახის ელექტრო-მოწყობილობა.

თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს სახალხო განათლების დარგში. 1970 წლის აღწერით ქალაქის მშრომელთა 75%-ს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო სოფლისას 60%-ზე მეტს. ახალ ხუთწლიელში სახელმწიფოს ხარჯზე სულ ცოტა მ მილიონი მონწველისათვის აშენდება ზოგად-საგანმანათლებლო სკოლები. გაიღებდა ინტერნატების ქსელი, განსაკუთრებით — სოფლად. დამთავრდება საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება. გავრთოვდება პიონერთა სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურების, სპორტული სკოლებისა და სხვათა მქცლი. მოწვადდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 9 მილიონი სპეციალისტი. დიდი უარადდება მიექცევა სასწავლებელთა მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებას სჭირდება უდიდესი სახსრები, რომელთა ერთადერთი წყარო მშრომელი ხალხის მიერ შექმნილი ეროვნული შემოსავალი. მერვე ხუთწლიელში ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა უზარმაზარი თანხა — 1 ტრილიონ 166 მილიარდ მანეთი, ნაცვლად 840 მილიარდისა მშვენიერ ხუთწლიელში. ახალ ხუთწლიელში ეროვნული შემოსავალი გაიზარდება 1 ტრილიონ 625 მილიარდ მანეთამდე.

ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის დასახული ამოცანები რომ წარმატებით გადაიჭრას, საზოგადოებრივი წარმოება დაჩქარებული ტემპებით უნდა განვითარდეს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით უნდა განვითარდეს მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მოხმარების საგნების წარმოება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ხელს ვიღებთ მძიმე მრეწველობის უპირატეს ზრდაზე. მძიმე მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენს ქვეყნის ეკონომიური ძლიერების, თავდაცვის განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საძირკველი. ამიტომაც, ხუთწლიელი თვითვალისწინებს მძიმე მრეწველობის პროგრესული დარგების — ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, ნავთობქიმიური მრეწველობის და სხვ. უპირატესად გან-

ვითარებას. ყველა ესენი, ერთი მხრივ, საუფქვლად უდრეს ტექნიკურ პროგრესს სახალხო მშენებლობაში, მეორე მხრივ კი უზრუნველყოფს ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას. გარდა ამისა, მძიმე მრეწველობა მიმდინარე ბრუნვებში მნიშვნელოვნად გაიზარდება მანქანათმშენებლის გამოწვევას სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, საეკარ და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგების დაჩქარებული განვითარებისათვის. ამასთან, თვით მძიმე მრეწველობის დარგები გაავართობენ მოხმარების საგნების წარმოებას. იცით თუ არა, რომ დღეს თავდაცვის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობის 42% საექიქალაქო მიზნებს ხმარდება? ასევე დიდი რაოდენობით აწარმოებენ ფართო მოხმარების საგნებს მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგები.

მთავარია საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და

ეფექტიანობის ამაღლება

როგორც ვხედავთ, ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები სახალხო მრეწველობის წარმოების ყველა დარგის განვითარების ფართო პროგრამას იმდებდა კითხვა: რა გზით, რა წყაროებითა და რესურსებით უნდა მივაღწიოთ საზოგადოებრივი წარმოების სწრაფ განვითარებას? ცნობილია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ორი სახის ფაქტორების არსებობა. პირველი: ეს არის ექსტენსიური, ანუ რაოდენობრივი ფაქტორები, რომლებიც გუფლისხმობენ წარმოების გადიდებას კაპიტალური დაბანდების მოცულობის ზრდის, ახალი საწარმოების მშენებლობის, დასაქმებულთა მუშათა რიცხვის გადიდებას ხარჯზე. დღემდე ჩვენში წარმოება უმთავრესად ამ ფაქტორების საფუძველზე ვითარდებოდა. მეორე: ეს არის ინტენსიური, ხარისხობრივი ფაქტორები, რომლებიც გუფლისხმობენ წარმოების გადიდებას არსებული საწარმოო სიმძლავრეების სრულად და რაციონალურად გამოყენების, მანქანათმშენებ-



ბიომბების განახლების, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ნედლეულის, მასალების, სათაბობისა და ელექტროენერჯის მომპირნეობით ხარჯის საფუძველზე. ამაჲმად, როცა მიღწეულია საზოგადოებრივი წარმოების მაღალი დონე და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ხორციელდება, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ზრდის ინტენსიური უპიკორების გამოყენებას. კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და ევექტიანობის ამაღლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების მთავარ მიმართულებად გამოაცხადა როგორც ახალ ხუთწლიელში, ისე ხანგრძლივ პერიოდისათვისაც.

ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები ითვალისწინებს ახალი შრომის იარაღების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნას, უმნიშვნელოვანესი საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დამთავრებას, ავტომატიზაციის შემდგომ გაფართოებას, ხელის შრომის შეცვლას მანქანურით. შრომის ნაყოფიერება გადიდება 8-10% -ით და ამ გზით პროდუქციის მატებას მივაწვდით 87-90% -მდე. ინტენსიფიკაციის კურსი აღებულია აგრეთვე სოფლის მეურნეობაშიც. დაუჭირდით, რა ევექტს იძლევა მარტო ნედლეულისა და მასალების მომპირნეობით ხარჯვა. გასულ ხუთწლიელში მატერიალური საწარმოო დანახარჯების 1% -ით შემცირებამ ეროვნული შემოსავალი მრეწველობაში 2 მილიარდზე მეტი მანეთით გააძლიერა. ახალ ხუთწლიელში მასალების ხარჯის შემცირება მარტო 1% -ით იმას უტრის, რომ ეროვნული შემოსავალი დამატებით სამი-ოთხი მილიარდი მანეთით გააძლიეროს.

აბა, წარმოიდგინეთ, როდენს სასარგებლო საქმის აკეთებთ მოსწავლეები მრეწველობისათვის, როცა აგრვებთ ქართს, ზრდით ე. წ. მეორადი ნედლეულის მარაგს, რაც ხარისხობრივი და დეფიციტანი ნედლეულის ეკონომიას იძლევა. ამით თქვენ მოქრძალბული წვლილი შეგაქვთ წარმოების ევექტიანობის ამაღლებასა და ეროვნული შემოსავლის

გაძლიერებაში. არ დაიშუროთ თქვენი ენერჯია და მონდომება ამ საქმეში! წარმოების ევექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მიზანია პროდუქციის ხარისხის არსებითად გაუმჯობესება. დღევანდელ პირობებში უქეთესი მეტაქცე ნიშნავს. მაგალითად, პროგრამული მართვის მქონე ერთი თანამედროვე ჩარხი ცვლის მოძველებული კონსტრუქციის ათ ჩარხს, ერთი დონე სატიერთო ავტომატიზირაძლიერნიერ ჩვეულებრივ სატიერთო მანქანას.


სრულყოფილი წარმოების მართვა

საზოგადოებრივი წარმოების სწრაფი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი მისი მართვის, გაძღოლის მექანიზმი. კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ დღეს გამარჯვების მეცნიერება არსებითად მართვის მეცნიერებაა. დავეფულოთ მართვის მეცნიერულ მეთოდებს! — ასეთია დღევანდელი მომენტის ლოზუნგი. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევს წარმოების მართვის ყოველმხრივ გაუმჯობესებას, მართვისა და დავეგეგმვის სრულყოფის მიზნით ფართოდ იქნება გამოყენებული ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა. გაფართოვდება წარმოების ხელმძღვანელი კადრების მომზადება და გადამზადება. ახლახან გაიხსნა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, რომელიც მოამზადებს უმაღლეს ხელმძღვანელ კადრებს ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგებისათვის.

ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში დასახული ამოცანები ყველას საზურუნავია — დილისა და პატარასი.

შენც, საბჭოთა მოსწავლეც, უმეველად ფიქრობ იმას, რომ იყო ახალი ხუთწლილის მებრძოლი. ბეჭითად სწავლა, შრომის მოყვარეობა, აქტიური საზოგადო საქმიანობა — აი ეს იქნება შენი წვლილი ახალი ხუთწლილის გამარჯვებაში.

პროფესორი რუსტომე ვულჰაქიძე.





ოქროსპირველი

ზღვის პირიდან შარაგზა მთებისაკენ მიემართება. ირგვლივ ციტრუსების ბაღები და ჩაის პლანტაციებია, ტერასებად შეფენილან ისინი ფერდობებზე და მათ შორის თეთრი, კოხტა ორსართულიანი სახლები მოჩანს. ეს არის ქობულეთის რაიონის სოფელი ბობოყვათი.

4

წინათ აქ გაუვალი ვეკა-ბარდი და

ქეჭენარი იყო. ქობმახებში კვარილა ბეჭუტავდა. შრომისაკენ ქანცვამოცილი გლეხს ლუკმა პურიც კი ენატრებოდა. სკოლასა და წიგნს ვინ ახსენებდა! იყო ერთი სამლოცველო, სადაც მხოლოდ ლოცვას ასწავლიდნენ პატარებს.

იყო და დიდი ხანია არ არის! დრმად მოხუცებსდა თუ ახსოვთ წარსულის ეს მძიმე და უსიხარულო დღეები, რომ

გაიხსენებენ, სახე მოედრებულებათ. სინათლის სხივი მხოლოდ მაშინ ჩაუღვებათ თვალებში, როცა ახალი ცხოვრების მშენებლობის პირველ ამბებს მოჰყვებიან.

სადაც კიოდა მგელი და ტურა, იქ გაავამენთ ჩაის კულტურა.

ამ სიმღერას ოცდაათიან წლებში მღეროდნენ ის ასალაზრდები, ვინც ძე-
ძინარსა და ევალ-ბარდს ჰკაფავდა,
ციტრუსებსა და ჩაის პლანტაციებს აშე-
ნებდა...

ეს სიმღერაც კარგა ხანია ისტორიად
იქცა და ის ფოტოსურათებიც, იმ პირ-
ველი შმაბთობების დღეებში რომ არის
გადადებული. ბოზოყავთელ ბიწირებს
ისინი საკულდაგულად ჩაუკრავთ ალბო-
წში, რომელიც საბჭოთა საქართველოს
სახელგადაც 50 წლისთავს მიუძღვნეს.
ალბომის მრავალი ფურცელი სოფლის
იმ სახელოვან ადამიანებს ეთმობა,
რომლებმაც შრომითი შემართებით მა-
მული ასახელეს და ბოზოყავთელის
გაუთქვას სახელი. მათ მკერდზე სიცა-
ლისტური შრომის გმირის ოქრის ვარ-
სკვლავი ბრწყინავს.

ერთი-მათგანია, — ნათელა ჩილებაძე.

ნათელა რომ პატარა იყო და დედა
ჩაის პლანტაციაში მიდიოდა, ვეგოსას
წინ, მერსობლის ბავშვებთან ტოვებდა
სათამაშოდ. როცა ნათელა სკოლაში
სიარული დაიწყო, წინ გულში არ უღებ-
ბოდა, დედას კაბის კალთაში ჩასტედი-
და ხელს, პლანტაციაში მიჰყვებოდა და
ცდილობდა დედას დახმარებოდა.

ომი რომ დაიწყო, ნათელა მესამე
კლასში იყო. მამაკაცები მამულის დასა-
ცავად ფორნტზე წაივინდნენ, კოლმუერ-
ნეობაში ტალებიდა დარჩნენ. საქმე ბევ-
რი იყო, მოსწავლეები ხშირად გაკვეთი-
ლებს ტოვებდნენ და ყანებსა და პლან-
ტაციებში სამუშაოდ მივიდოდნენ. ნა-
თელა პიონერული რაზმის საბჭოს თავმ-
ჯდომარე იყო. მათ ჩაის პლანტაციაში
არაფერ ელოდა, მაგრამ პატარები შეიკ-
რიბნენ და უფროსების დასახმარებლად
დაიარსებდნენ. მეჯათად, მუყათად მუშა-
ობდნენ, მაგრამ ნათელა ყველას სკობ-
ნიდა. მის მიერ მოკრეფილი ფოთლის
გროვას რომ უყურებდნენ, კოლმუერნე-
ების ხუროთმოძღვრები: ეს რა გო-
გოა, ნამდვილი გმირიაო...

ამ სიტყვების გაგონებაზე პატარა
ნათელას აღისფრდა აუღელვარებოდა
ლოყები. არავინ იცოდა, რომ ნათელას
გულში მართლაც ჩასახულიყო სასახე-
ლო მანქანალოვად გახდომის სურვილი.
ეს საშუალება ოცნება იყო და მას არა-
ვის, დედასაც კი არ უშეძლებდა ნათელა.

მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, ერთ
სალამოს ნათელამ კოლმუერნეობის თავ-
მჯდომარეს წინ მიაკითხა. მასპინძელ-
მა გაოცებით შეხვდა ტანმორბილი გოგო-
ნას. წინ ხომ მშვიდობააო — კითხა
ალერსიანი ხმით. სტუმრობის მიზნუ-
რით რომ მოისმინა, ჯერ გაოცებისაგან სათ-
ვალე მოისხნა, შემდეგ ჩაფიქრდა და
ნათელა კოლმუერნეობის გამგეობის
სხდომაზე დაიბარა.

ნათელამ იმ საღამოს ჩაის პლანტა-
ციის ცალკე ნაკვეთის გამოყოფა ითხო-
ვა. ზოგიერთს გაუკვირდა კიდევ მისი
ასეთი გადაწყვეტა, მაგრამ ნათელას
სახეზე ისეთი მონდომება და სიმტკიცე
ამოიკითხეს, რომ უარი არ უთქვამთ.

გახსენებულის პირს ნათელამ ნაწევარი
ქვეტარი ჩაის პლანტაცია ჩაიბარა მო-
სველვლად. გათონა, დაბარვა, გასხვლა,
სასუბის შეტანა — არაფერი დაუტოლა.
და, როცა ბურქები ნორჩი დუყებით შე-
იბოსნენ, ნათელა კრფას შეუღდა. რიგი
რიგს მისდევდა, მის ნაკვეთზე კი არ
იღებოდა ჩაის ფოთოლი, — ეს ადრეან
გახსენებულზე პლანტაციის კარგი მოვ-
ლის, აგრონომიული წესების ზუსტი
დაცვის შედეგი იყო.

ნათელა ჩაის ფოთოლს მუცხა და წვი-
მანი, დარსა და აწდარჩე კრფდა. ჩაის
ფოთოლს ხომ დაყვინებდა არ უყვარს,
სამკარისა დაავიანო, რომ ქორფა
დავეყბის გაუწეოდება და უფარვისი გას-
დებდა.

6750 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთო-
ლი მოკრფა თავის ნაკვეთზე მეშვიდე-
კლასელმა ნათელა ჩილებაძემ. ეს ბევ-
რად აღმსაბუთოდა მისი ტოლებიასა და
უფროსების ნაწრომს.

— ოქრის ხელები გაქვს, ნათელა,
ყოჩა! — ყოველი მხრიდან შესასხოდ-
ნენ მის თანასოფლელები.

— დაისმარებ, ნათელა! ასალ ვურ-
მატებებს, გისურვებთ! — მოესმა ნა-
თელას, როცა რადიო საბჭოეთის გუ-
ლიდან, მოსკოვიდან, შავი ზღვის ნაპი-
რებამდე მიიტანა სასიხარულო ცნობა
ნათელა ჩილებაძისათვის სოციალის-
ტური შრომის გმირის წოდების მინი-
ჭების შესახებ.

ნათელა პირველი ქართველი პიონე-
რი იყო, რომელმაც საშობლოს ყველა-
ზე იდვილად დაიმსახურა.

...გავიდა წლები. ნათელამ წარჩინე-
ბით დაამთავრა საშუალო სკოლა,
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი,
სტრუქტურის განხრ და კვლავ მშობლიურ
სკოლებს დაებრუნდა. იდვილ იგი ჩაის
ფარების ხელმძღვანელმაც, ჩაის პლან-



ტაციაში კი უფროსების მხარდამხარ
მისი პატარავი დადიან. ვინ იცის, იქ-
ნებ ისინიც დედის გზას გააყვებენ.

ბოზოყავთის დღეს გმირთა სოფელს
შეუბრუნებენ; ბევრია აქ შრომის გმირი,
სამშობლოს ჯილდოებით მკერდამშვე-
ნებულად ამიანი. ქიზმახების ნაცვლად
აგურის ორსართულიანი სახლებია წაიშ-
ტომული, სახლებში ელექტრონათურების
კაშკაშებენ. შრომითი გლეხი პარტიის
უსწესნე, ტელეფონით პლანეტის სხვა-
დასხვა კუთხეს უყურებს, კეთილმო-
წყობილი ბინაში ყველაფერი ელექ-
ტროფიცირებული კეპს — მაგივარი,
ელექტროქურჭა, მტკვრასარტუტი, საარცხ-
მანქანა... ასეთ რაზე, შრომითი და-
მიახის დაფასებას, სიზმრადც ვერ ნა-
სადგენ დღევანდელი პიონერების მამა-
პაპანი.

ძველ დღეებს ძველისძველი სამლო-
ცველობის ნანგრევებია შემორჩა. ესც
სოფლისაო! — თქვას პიონერებმა,
ფორტ აღებდნენ და ფოტოსურათი იმ
ალბომში მოათავსეს, სადაც ნათელა
ჩილებაძის პორტრეტია. სიმბოლოებია
ეს ორი ფოტოსურათი — ოქრისუარა,
სკვლავიანი ქართული ქალი და ძვე-
ლისძველი სამლოცველობის ნანგრევები!
საბჭოთა ხელისუფლებამ რომ არ ყოფილ-
ეყო, ნათელა ჩილებაძე თავისი პირაპრე-
მიტი სოფელში ჩაიკეთებდა, ბევრაც
აღამიანი სიყვარული; ამ სამლოცველო-
ბით ვერ წაივლიდა მისი ცხოვრე-
ბის გზა. ახალმა ყოფამ, დიდი მოტკა-
მბრის მუცე ახალი ცხოვრება მოტკა-
მბრით გლეხის შვილს, იგი ცხოვრე-
ბის ფართო გზაზე გაიყვანა, ბედნიერე-
ბას აზიარა! ნათელა ჩილებაძე ერთი იმ
გადალუთგანია, ვინც ახალი, ბედნიერი
დღეების პირშია.



ბიორკი პაპავაშვილი

მხატვარი ზ. მამხარაშვილი.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

გოჩას ორი ბებია ჰყავს. ერთი სოფლის ბოლოში ცხოვრობს, მეორე — სოფლის თავში. ერთ დედის დედაა, მეორე — მამისა. როცა გოჩა სოფელში ჩამოდის, ჯერ ერთ ბებუას ნახავს ხოლმე, მეორე — მეორეს. იქ მას პაპაც ეგაბლება. იმავე დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც უთუოდ აირბენს და ინახულებს ხოლმე. ზოგჯერ თუ მარტო აირბენს, ზოგჯერ დედასთან ან მამასთან ერთად მიდის მათ სანახავად. როცა ის და მამა მიდიან, მაშინ უკვე ღინჯალ მიუყვებიან სასოფლო გზას და საინტერესო ამბებზე საუბრობენ.

იმ დღესაც აუჩქარებლად მიუყვებოდნენ სასოფლო გზას. ორსართულიანი, ლამაზი სახლის შესასვლელთან კაცები და ქალები საუბრობდნენ. მამა ჯერ ყველას მიესალმა, მეორე შედგა, გზიდან გადაუხვია და ერთ ბერიკაცს ხელი ჩამართვა.

— როგორ ბრძანდებით, რას შერებთ? — ჰკითხა ყველას და მიერ ისევ ბერიკაცს დაუწყო საუბარი.

ბერიკაცი უღიმიოდა. მამაც უღიმიოდა მას. ამ ბერიკაცის გარდა, ყველას ხუთი თითივით იცნობს გოჩა, მას კი პირველად ხედავს.

მამა ბერიკაცთან საუბარმა გაიტაცა. გოჩა შეწუხდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, დაელოდა. ნელ-ნელა მძილიდა და ევლარ ისვენებდა. კინაღამ გასძახა კიდეც: პა, ჩქარა წამოდით.

აი, გამოჩნდა მამა. ღიმილთა და ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

— მამე, ვინ არის ის მოხუცი? — მიახლოებისთანავე ჰკითხა გოჩამ.

— ეე, შვილო, იცი ვე ვინ არის? მეცოდნობდი, თორემ კიდეც დღე-ღამე დავრჩებოდი.

— რა მოხელეა?

— არაფერი. მეცხვარი იყო.

— ახლა?

— ახლა უკვე მოხუცია და პენსიას იღებს... ეგ ჩემი პირველი მასწავლებელია.

— თუ მეცხვარა, შენი მასწავლებელი საიდანაა?! — გაუჟვირდა გოჩას.

გოჩას მამა მუსიკოსია. თითქმის ყოველგვარ საკრავზე უკრავს, მაგრამ განსაკუთრებით კლარინეტი ემარჯვება. თუკრამი მთელი დარბაზი რომ სულგანაბულია და ამოსუნთქავს კი ერთიგვით — სწორად მამას კლარინეტი რაკრავებს მაშინ. რაკრავებს კი არა, გალობს, ზეიმობს, ცვენისს. რომ იცოდნენ, როგორ ემაყებება გოჩას ამ დროს თავისი მამა და რა ლამაზად ეჩვენება მთელი ქვეყანას!..

სულისბრუნება და აღმამურის დაკვრა მაგან მასწავლა. ეგ რომ არა, კლარინტს ასე კარგად ვერ დავუშვლებოდი, — თქვა მამამ.

— კარგად უკრავდა სალამურს? შენზე კარგად?

მამას სველიანად გაეღიმა.

— კი არ უკრავდა, აღამარავებდა. როგორ გითხრა, ჩემზე კარგად უკრავდა-მეთქი, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავის ნაღველსა და სიხარულს მთლიანად გამოათქმევინებდა უბრალო დიდგულსა თუ ლერწმის დე-რამ. ჩემსავით ძვირფასი კლარინეტი კი არ ეჭირა, უბრალო ჩალასა და ნაჰვის ღეროს გამოსთლიდა ხოლმე. პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო მისი დაკვრა.

— მაინც ისე როგორ უკრავდა, რომ აგრე ვაგვიკრებოდა?

— მუსიკის ქება მხელია, შევიქმნას მხოლოდ მოსმენა და გავაგონებ. და. ვანიცილი და გარბნა, ჩემი ქვეყანა ან კარგია, მაგრამ სწავსა უკრავს. ცემ ამ სიკარგეს. მაგის ჯალოსნობა დაკვრავს ლეგენდები დღეობდა და ახლაც დღის.

— მაინც რა ლეგენდები დღის? გოჩამ ნაბიჯს აუჩქარა.

— მაგას თავისი სიცოცხლე ძროხასა და ცხვარში გაუტრებია. ფენდურის დაკვრაც კარგი იყოდა. მაგრამ სალამურს ისე უკრავდა, რომ ყველას ავიკრებდა. წიქარას ზღპარში რომ ბიჭი უკრავს, ალბათ ის თუ შეედრებოდა.

ერთხელ, მაშინ მთლად ახალგაზრდა ყოფილა, ძროხის ბინაში მარტოდ დარჩენილა და ღამით ლეკები დასხმან. ვანა ახლა რომ მშენებიათა ვართ, მაშინაც ასე ვყოფილვარ! თუ ისინი მოატანდნენ ჩვენს საქონელს.

— იტაცებდნენ, ჩვენები იტაცებდნენ, — ჩვენები იტაცებდნენ. გამოთქმა თუ გაგვიღონია: „ჩალურის წყალი დალია“. ეგ იცი რატუნა ნათქვამი?

— არა, — სწრაფად მიუგო გოჩამ.

— ჩალურის წყალი ნატარა მიღინარეა, მთებიდან მოედინება. იმ მთებში, მდინარის გაღმა ლეკები ნავარდობდნენ, მდინარის გამოღმა ჩვენი წინაბრები უწოლან. თუ ლეკები მოიტაცებდნენ საქონელს და იმ წყალს გადაბრებდნენ, მერე უკვე დაკარგულად თვლებოდა თურმე და ხელს ჩაიქნევდნენ: ჩვენმა საქონელმა ჩილურის წყალი დალია და ეგ არისო. მარტო საქონელს კი არ იტაცებდნენ: ქალებსაც, ბავშვებსაც, სურსათ-საინფანტისაც და, ვინ იცის, რაღას და.

...შოლა, ძროხის ბინაში მარტოდ დარჩენილა იმ ღამეს და თურმე უცხად ლეკები დასხმან თავს. ძილ-ღიმილში ყოფი უსწრად გაუთოკავთ და ცეცხლბაირას დაუვლიათ თვიონი კი კი-კი ძროხები დაღრჩევიათ და ბაკიდან გამოუტყვიათ. ერთ-ორ თავზეც ლეკ გულები და ტომბრებიც კი ამოუტყვიან. ჰური და ხორცი უთოვნიათ და ჭკამა დაუწყოათ. ერთს უტყვია კიდეც და უტყობახეს: შენ ის არა ხარ, სალამურს რომ

უკრავსო? ისა ვარო. აბა, თუ ისა ხარ, ზეკლუბს ვაგვისნსით და დაუტყარიო. ვაუსხსნით ხელუბი და სალამურიც მიუტყარიო.

— რომ გაქცეულიყო? — ჰკითხა გოჩამ.

— ფეხები ვაკრული ჰქონდა და როგორ ვაქცეოდა?

— ჰო, მერე?

— ჰოდა, აუღია სალამური და დაუტყავს. დაუტყავს და აუტრიბოია. თურმე მოჭადოებულებიგითა დგანან ეს ლეკები და მთელი გულისყურით უსმენენ. ის კილვე უტრავს და უტრავს, და იცი, რას უტრავს?

— რასა, მამა?

— „წი-ი-ყვა-ნეეეს, ლი-ზა ფური წა-იყვა-ნეეეს, ლე-კებ-მა წა-ი-ყვა-ნეეეს... ჰარი-ქათ, ბი-კე-ბოთ, ლი-ზა ფური წაიყვა-ნეეეს, ლე-კებ-მა წა-ი-ყვა-ნეეეს... მი-შვე-ლეეთ, მი-შვე-ლეეთ!“ უტრავს და უტრავს. ეს ხმა სხვა ბინებზეც გაიგეს თურმე მწყემსებმა და ყური ცქვიტეს. მოუსმინეს და ყველაფერს მიხვდნენ. სალამური კი უტრავს და უტრავს: „ლი-ზა ფური წა-ი-ყვა-ნეეეს, კობ-ტაც წა-იყვა-ნეეეს, წაბ-ლაც წა-ი-ყვა-ნეეეს, მი-შვე-ლეეთ, ლე-კებ-მა წა-ი-ყვა-ნეეეს!“... ლეკებს ესმით, რომ სალამური პირდაპირ ტერის, მაგრამ რასა ტირის, მაგდენს ვეღარ იგებენ. ბოლოს ისეც წააგლიჯეს სალამური და ხელ-ფეხიც გაუტრეს. უკუნ ღამეში კი მახლობელი ბინების მწყემსები გამორბიან, თოფ-იარაღში ჩამსხდარან და გამორბიან. მათ უკვე იციან, ვინც უტრავდა იმ სალამურს და სწორედ იმ ბინისაკენ გამორბიან. ცოტაც და საჭონლის ფეხის ხმა შემოესმათ. მაშინვე გაწუნენ მიწაზე და დაელოდნენ. გავიდა ცოტა ხანიც და მთელი ნახირი მიადგათ. მათ დანახავზე ძროხები შედგნენ, ზოგი დაფრთხა კილვე. ლეკებმა ხმადაბლა დატუქსეს დამფრთხალი საჭონელი, მაგრამ სწორედ ამ დროს დასწყვილეს ჩვენიგმა:

— დაყარეთ იარაღი, თორემ დაგხოციეთ!

ყარალებმა საჭონელი მიატოვეს და უგზო-უკვლოდ გაიქცნენ აქეთ-იქით.

— დადექით, თორემ ვაი თქვენი ტყავის ბრალო! — ისეც დასწყვილეს ჩვენიგმა და თოფები დაცალუს


ჰაერში. მერე დაუარეს დამფრთხალ საჭონელს, შეაქურჩეს და ნახევარ საათში პატრონს მიაყენეს. გაუსხსნეს ხელები, გადაეხვივნენ და დაოცნეს.

— კილვე, კილვე მამი? — დააინტერესა გოჩა მამის ნაამბობმა, — სხვა აღარაფერი იცი მაგ კაცზე? კილვე მამებე!

— როგორ არა, ბევრი რამე ვიცი. მაგრამ ყველაფერს რომ ვერ გიამბობ. თანაც, აგერ, მივედით კიდეც!

— მერე რა არის, რომ მივედით? მამებე რა, თუ გეყვარვარ! — არ იშლიდა გოჩა.

— აგერ, შენი ბიძაშვილებიც გა-



მოვიდნენ. აგერ, ბებიაც, ჭიშკრიდან რომ იუტრება. აი, წამოვიდა კიდევ ჩვენენი.

ბებია ლიმილით შეეგება. ორივე გადაკოცნა და ეზოსკენ წაუძღვა. ეზოში ბაბა დახვდათ. კუნძზე ჩამომტდარიყო და რაღაცას კუთუნებდა.

გოჩა, როგორც კი პაპას ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა კიდევ, მამუნივე ისევ მამას მიუბრუნდა:

— მიამბე რა, თუ გიყვარვარ! ოღონდ მამამე და, ყველაფერს გავუგონებ ბებიას.

— რას გუხვეწება? — ჰკითხა პაპამ.

— ბერიკელანთ ზაქროზე ვუყვებოდი, სალამურს კარგად უტრავდამეთქი, და ამან დაინტერესა.

— ზაქრო ისევ ცოცხალია, კაცო? საიდან ვაგახსენდართ? — წყლან შეგვხვდა. შვილიშვილთან გადმოსულა.

— რას ამბობ? მაგდენი შეუძლია? ეგ, იცი, რამდენი წლის იქნება?

მე ჭერ ისევ ბაღლი ვიყავი, მაგან რომ ჭვარი დაიწერა. ჰე, რა სალამური იტოლა! მაგის ამბები მე უნდა მკითხონ, შენ რა იცი.

— სალამურის დაკრა მაგან მასწავლა. სულისბრუნებდა...

— მართლმ? შენ საიდან ხელებოდი მაგას?

ბებიამ ოთახში შეიპატოქა, მაგრამ ეზოში ამჯობინეს და ყველანი პაპასთან ჩამოსხდნენ.

ჩემი ბავშვობა ხომ ძროხებთან გავატარე. — დაიწყო მამამ. — ერთ მთაში გვიხლებოდა ძოვება. მთის იქითა ფერღამი მაგათი ბინა იყო და აქეთ — ჩვენი. როგორც კი დავინახვდი, მამუნივე მივუტყუტლებოდი და ეხვეწებოდა, მასწავლე-მეთქი, ისიც ძალდონეს არ იმურებდა, რომ ესწავლებინა.

— მაგის ამბავი მე უნდა მკითხონ, შენ მაინც ჩემდენი არ გეცოდინება, — თქვა პაპამ.

— მაშინ შენ მამამე, პაპა! სთხოვა გოჩამ.

— ერთხელა, — დღეწყო პაპამ. — თურმე ჩვენი ბრძენი, სხორებისათვის გაცივლებინათ საძოვარზე და ბაღლი თურმე სატაცურს ვაჰყავა. სხორებს თავი დაანება და სატაცურს ვაჰყავა. ერთ ჭავთან რომ მივიდა, ახლა მეორე ჭავთან გადაინაცვლა, ახლა — მესამესთან, ახლა — მეოთხესთან და ამასობაში ძლიან დასცილდა თავიანთ ბინას. გზა აგზნა და უკან ვეღარ დაბრუნდა. საღამოს სხორებმა თავისით მიაკითხეს ბინას, მაგრამ ბაღლი აღარსად იყო. ჰაი, იქით, ჰაი, აქეთ, მაგრამ არ არის, არ არის! დაიწყეს ბინებში ძებნა, მაგრამ ვერა პოულა. ეძებენ და ტირიან. ბაღლია, კაცო, რა იცი, ან გველმა დასუნთქა, ან გაიტაცეს, ან კლდეზე გადავარდა, კაცნი ვართ, რას ვაიგებ. ჰოდა, ამ ძებნა-ძებნაში მაგ ზაქროთან ბინას მიაღდგენ. უამბებს, რაშიც იყო საქმე და ზაქრომ მამუნივე დაამშვიდა: ნუ გეშინიათ, სალამურს დავეტრე და, თუ საღმეა, ახლავე ვიპოვიო. ყველას გაუყვირდა, როგორ უნდა იპოვოსო, მაგრამ მეტი გზა არა აქვთ და რას ოხამენ! ავიდა ერთ გორაკზე ეს ჩვენი ზაქრო, იყვლია ის კაცებიც, დააქდა და დააღულუნა სალამური. დააღულუნა ისეთიარა, რომ კლდეც კი აატრია. მერე იკითხა, რა ეცვა იმ თქვენი ბიჭსაო? რა ეცვა და, მოკლე შარვალი და წითელი ხალთითი. ჩაპბერა ზაქრომ, ჩაპბერა და აატრია: „პატარა ბიჭი დავეყარვა, წითელხალათა. ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთო“... უტრავს ზაქრო და კენესიან ხეები. მთელ ზღაში გაისმის ზაქროს სალამურის ხმა და სოფლადაც აღწევს. დამით ხოლმე არ გინახავთო“... უტრავს ზაქრო და ლამურს კი ისეთი ხმა ჰქონდა, რომ ზარივით რეკდა, ტყეებსა და კლდეებს ეფინებოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. ზის და უტრავს ზაქრო: „პატარა ბიჭი დავეყარვა, წითელხალათა. ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთო“... კი არ უტრავს, აკენესებს და ატირებს. შეისვენებს ერთითაღლი



და ისევ მიუბრუნდება სალამურს. თურმე გაღმა ქალაქში წინამხრელ მეურვეებს უპოვნიათ ის ბაღი. დაუსწავთ ურემზე და შინ მიჰყავთ.

— მოუტაციათ? — ჰკითხა გოჩამი.
— კი არ მოუტაციათ, ასავალ-დასავალი ვერ გაუვითა და შინ წაუყვანიათ. მარტოხელა ბაღის ქალაქში ხომ არ დაავადებდნენ მგლისა და ტურის კერძად. დაუსვითა ურემზე და შინ მიჰყავთ თურმე. გაიგეს სალამურის ხმა და შეაჩერეს ურემები.

— ბიჭებო, ხომ გეჩნით, რას უკრავსო? — უთქვამს ერთ მეურვეს.
მიუგლიათ ყურია და აშკარად გაუღიანა: „პატარა ბიჭი დაგვეყარვა, წითელბალოთა. ან ავლილი, ან ჩაველილი ხომ არ გინახავითო“.

— ბიჭებო, ეგენი ნამდვილად ამ ბაღს ეძებნენ. ეძებნენ და მივეყვანათო, კაცო. ერთ მეურვეს ცხენი ჰყოლია ურემზე გამობეული, შემჯდარა, შემოუსვამს ის ბაღი და ხმის მიმართულებით წასულია. სალამური კი კენესის და კენესის. უვლია იმ ცხენიანს, უვლია და ზედ წასდგომია იმ კაცებს. რა ამბავია, რას ავენსებთ მაგ სალამურს, აი, ბიჭო, — უთქვამს ცხენიანს. ყველანი სისხარულით წამომხტარან და შემოხვევიან. გოჩამ ღრმად ამოისუნთქა.

— ასეთი სალამური იცოდა ზაქრომ, მამა! — თქვა პაპამ და გოჩას მამამ მიუბრუნდა: — შენც ხომ კარგად უკრავ და მეტი რაღა გინდა?

— არა, იმის დაკვრას რაღაც ჯადო-თილისმა ჰქონდა. ყველაფერი იხიბლებოდა. ძროხას პირში ბალახი ეყინებოდა, ცხვარი ბღაეილს აჩერებდა. მისი ხმის გაგონებაზე ტყეში ხეები აღარ ირხებოდნენ და ველზე ბალახი ყუჩღებოდა. ზაქროსთანები ალბათ ას წელიწადში ერთხელ იბადებოდა. ურთი „წიქარას“ მეზღაპრეს ეყოლებოდა ნანახი და მეორე ჩვენა ვნახეთ. ეს არის ის.

...გავიდა ხანი. გოჩა უკვე დაეაქცადა, მაგრამ დღესაც წამოიძღვრებს ხოლმე: „პატარა ბიჭი“ და გვეყარ-გააა, წითელ-ხალათაა. ან ავლილი, ან ჩაველილი ხომ არ გინახავითო“. ან კიდევ: „წაიყვანეის, ლი-ზა ფური, წაიყვანეის...“ თუნდაც დააფიცოთ, მას ნამდვილად ესმის ზაქროს სალამურის ხმა, ესმის და მთელი სულითა და გულით განიცდის.

ნაკვეთი

მთის კალთებზე ხტუნვა-ხტუნვით მოურჩხებებს ნაკადული, მზე პირს იბანს ლურჯ ტალღებში ათასფერად გაბადრული. წყალი თუ ვერცხლისწყალი — აბა როგორ მოისვენებს: გვალვამო, — რწყავს სიამით ბაღ-ვენახებს, მინდორებს, სერებს. — დღუღ! ჩუხ-ჩუხ! — ისმის



ირველიც ხან ჩანებს ხმა, ხან ფანდურის, ნაპირს სწვდება ცივი ჩვეი თეთრ მძივებად გაფანტული.

მის მასლობლად ყვავილები თავს ყველთვის ლღლად გრძნობენ და ძილისწინ თავდასრილინი სვამენ მივების საბადლომებს.

ღვივრეზი ზეზავზე



ახლა ბებიამ ალბათ უკვე დააპურა კრუს-წიქილა, დატანცული სამფხაზე ზის და ხენუმის ბუხრისწინა. კეცუნაზე მჭადი ცხებუა, ყველიც ამოსაყვანია, ბებიკი ჩვეწზე ფიქრმა გაიტაცა რახანია. „ჩემს ქალაქელ ვმშაქუნებს უღარდელად სძინავთ ალბათ,

ანდა ჩუმად მუკშუებენ, ვინ გაიგებს იმით ამბავს. ვათუ კვლავ გაჟრუტუნდნენ და უხსენად ტელევიზორს... ეჰ, რა ვიცი, მათი ნახვა აწი იქნებ ვერც მეღირსოს!“ ბაბუქს სურბათს გადიდებულს გახედავს და ისევ ხეწემის. კეცუნაზე მჭადი ცხებუა, ნელლი შემა ტირის ცვეცლში. კარგი, კარგი, გვეო ფიქრი, უშიშოდ რად ხარ, ბები! სკოლიდან რომ დავგითხოვე, მეორე დღეს მანად გაეზნდებით! მანამდე კი თავს უფროსობდი და მოეფიქრავს და იტყვებს... მჭადს მიბედე, არ დაგეწვას და მშვიერი არ დავვირე.

იმერეთი

ვინ არ იცის, იმერეთი რა ლამაზი მხარეა. ყოველ ზაფხულს მერცხლებივით იქით მიგვიხარია.

გვიხმობს ჩვენი „მოლინახე“ და ყვირილა ჩვენსუხა: — სად ხართ, სად ხართ, მოგვეატრეთ!



— მაღე მოვალთ, ნუ სწუხხართ. აგურ უკვე მოგვტუნე მატარებელს მოგვევით. მეტრისმეტრი სისხარულით გვიღატაკებს ლოყები. ეს პატარა ელმავალი ელვასავით ჩქარია, — ბაბუქ! ბაბუქ! იმერეთო, შენსკენ მივინჯე. იმერეთი



ბჭეძი პიქეტეტში

საქალაქო ტრანსპორტის ნაირსახეობათა შორის ყველაზე მოხერხებული და სწრაფი მეტროა. ქალაქის ერთი განაპირა რაიონიდან მეორემდე გადასვლას თუ განწიხასავთ, ბუნებრივია, ისევე მეტროს აირჩევთ. ამიტომ არის, რომ მსოფლიოს თანამედროვე ტიპის ქალაქებში ახლა მეტრომშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა.

მეტროპოლიტენი გვირაბებში გამავალი ელექტროტრენებია. მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეტროპოლიტენის ტიპისაა აგრეთვე მიწისზედა საქალაქო ელექტროტრენებია. სიტყვა „მეტროპოლიტენი“ შემთხვევით წარმოიშვა. როგორც ცნობილია, 1860 წელს ლონდონში დაიწყეს მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა ელექტროტრენების მშენებლობა. სამუშაოს შესრულების შემდეგ კერძო ფირმა — „დედაქალაქის სატრენებო კომპანია“. ამ ფირმის სახელწოდების პირველი სიტყვა — დედაქალაქი (ინგლისურად „მეტროპოლიტენი“) დაარქვეს ფრანგებმა 1868 წელს პარიზში აგებულ მიწისქვეშა ტრენებისას.

გვირაბის გაყვანა რამდენიმე წესით წარმოებს: ბურღვა-აფეთქებით, მშრალი და სველი წესით, თვითმავალი საბურავი მანქანით და ყველაზე თანამედროვე, პროგრესული მეთოდით — მექანიზებული ფარის მშენებლობით.

ვიღვრე გვირაბის გაყვანა დაიწყება, საჭიროა ნიადაგების დაწვრცობის გაგება, თუ რა აღნაგობისაა მიწისქვეშეთში მდებარე ქანები, ხშირად არის იქ ტბები, აგრეთვე წყლები ან სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები.

მაგრამ ზოგჯერ საქმის დაწვრცავდვით შედეგს. ჩვენი დედაქალაქის მეტრომშენებლების პრაქტიკაში ასეთი რამ მოხდა: გაყვადან მიწისქვეშა ტრასა სადგურ „მშ კომისრიანა“ — „მშ არაგვისძალი“, რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ მო-

ულოდნელად გვირაბში გაოგრილდენა წყალმა ამოჩქევია.

მუშაობა გაძნელდა. გვირაბგამყვანი ცხელ, გოგირდოვან წყალში ქუხუხუხობდნენ. სამაგიეროდ, ბალნეოლოგიურ კურორტში შექმნა ავადმჯობის მკურნალობა. თუმცე ნუ იტყვი, ამ კურორტისაკენ მიმავალმა წყლის ნაკადმა სწორედ გვირაბში „ამოყო თავი“.

პარიზის ტემპერატურამ მიწისქვეშა მშ გარდაცვლია მაიწლია. ამას თუ მიუვამტებთ გოგირდის სუნსაც, ადვილად გასაგები იქნება, რა დღეში ჩავარდებოდნენ გვირაბგამყვანები. ისინი ჩქარობდნენ — გვირაბის კედლებს აბიტინებდნენ, და აი, თანდათან შეწყდა წყალი, სამაგიეროდ, ბალნეოლოგიურ კურორტს კვავად დაუბრუნდა მაცოცხლებელი ნაკადი.

იხი, როგორც ხომალდს სტრატეგია მშურამანი, — უკიდევანო ოკეანებში გზის მაჩვენებელი, გვირაბის გაყვანაც ასევე საჭიროებს სპეციალისტს ანუ მარტშეიდერს, რომელმაც მათემატკური სიზუსტით უნდა განსაზღვროს გვირაბის გაყვანის მიმართულება და სხვა წინასწარი მონაცემები.

აი, მოსამზადებელი სამუშაოები დაშთარდა... უკვე შეიძლება გვირაბის გაყვანა დაიწყო. მშენებლობის მთავარი ინჟინერი გვირაბის გაყვანის დაწყების განკარგულებას იძლევა.

იმ შემთხვევაში, თუ გვირაბი ვაკე ადგილზე გაშავთ, გვირაბგამყვანების სამუშაოს ვერტიკალური ჭურჭის გავრთი იწყებენ. სწორედ ამ ჭურჭის მემშვენიერ მიწისქვეშა ნივანმა მოედანი, სადაც თავს უყრიან სხვადასხვა სახის მექანიზმებს, ელექტროგაყვანისლობის ქსელს, მშლავრ სავენტილაციო სისტემას... მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მოედნიდან მიწისქვეშეთის შტურმს იტრება საფუძნალი.

მონგრეული ქანების ტარამოლდავასთან ერთად ხდება კედლების და-

ბეტონება. თუმცა, როგორც ვთქვით, გვირაბის გაყვანა რამდენიმე წესით წარმოებს. ავიღოთ მკველთაზე, ბურღვა-აფეთქება...

ერთ შემთხვევაში, რამდენიმე მეტრის გაყვანის შემდეგ გვირაბის კედლებს შიგნიდან გამოკარგვენ თუჩის ან რკინა-ბეტონის უზარმაზარ ტიუბინებს. (ტიუბინი სემკერტის სახის კლითონის ან რკინა-ბეტონის ფილაა, რომელსაც იყენებენ მალარუნებისა და გვირაბების გასამაგრებლად). თითო თუ ტიუბინი 6.000 კილოგრამზე მეტს იწონის. თუჩის ტიუბინებში ერთმანეთზე უზარმაზარი ქანუკები მთავრდება და ძალზე მოხერხებული საშუალებაა შემდგომი მშენებლისათვის. გვირაბში წყალმა რომ არ გამოყოფოს, სპეციალურად აწმადნენ დიდი სიმტკიცის ქონვერტების სხნარს, რომლებსა მშლავარი ატმოსფერული წნევის ქვეშ ასეობრებენ კედლებს. ამ პროცესს სპეციალისტების ერთი დატრენვა ეწოდება. ამის შემდეგ ტოკრეტი, ანუ ელხალხალი დატრენვის პროცესი მიმდინარეობს.

ძალზე საინტერესოა ტრეპტორის საშუალებით თუჩის რკინა-ბეტონის ტიუბინების მიმავლება. ეს არის შრომის პროცესის საცდარი გამარტივების გზა. ამ შემთხვევაში მთელი სამუშაოს 90 პროცენტს თითქმის მანქანა ასრულებს. ამ მანქანას გამძლე კლითონის ებილები აქვს. ამ კლითონის ღრწის ები კლდედან, გათვალ ქანებს. მაგალითად, 1960 წლის მარტში თბილისში დამზადებული მექანიზებულმა ფარმა 105 მეტრი გვირაბი გაიყვანა. ეს კი მსოფლიო რეკორდია!

ამ წარმატებაში, რა თქმა უნდა, თბილისის სპეციალისტებს, გვირაბგამყვანებს მიუძღვები წყლილი. მეტრო მთავანი სრულად ახალგაზრდაა. მაგრამ უკვე შრომისმსოფრეობით გაითქვეს სახელი. ახლა ისინი შეუპოვრად უტყვენ მიწისქვეშა კლდეებს.

მექანიზებული ფარის საშუალებით გვირაბის გაყვანაც ვარკველად სპეციალურად შეკარგება. თავდაპირველად სპეციალურად იგება დიდი მოცულობის საკანი, სადაც თანდათან მონტაჟდება ეს უზარმაზარი მექანიზმი. მინდა თვალნათლივ წარმოიღვიოთ მექანიზებული ფარის აწყობის შემდეგ იგი მშ მეტრო სიგარტზე განვადდება, მთლიანი კომპლექსი 450 ტონას იწონის, თვითონ ფარი კ, რის მემშვენიერად გვირაბში გაშავთ, წონის 180 ტონა.

შესაძლოა გვირაბში მდინარის ქსო-

შაც გაიაროს. მტკვრის ფსკერიდან რამდენიმე მეტრზე დაბლა ხომ გადის გვირაბების ეს სულაც არ არის გასაოცარი. გვირაბის კედლებში იმდენად მტკიცეა, რომ მასში წყალი ვერ გაუონავს, გვირაბს წყლის სულაც არ ემშინა.

ისიც შესაძლებელია, რომ გვირაბებმა ერთმანეთი რამდენიმე მეტრის დაშორებით გადაკვეთოს. გაივლის წლები და ამაში თქვენც დაწმუნდებით. სპეციალური ჩასასვლელი ხეობის ხეობის ერთი ბაქნიდან პირდაპირ გადაკვეთი გვირაბის ბაქნიზე ჩახვალთ. გადაკვეთის ასეთი პუნქტებში შეიქმნება მასში, როცა ექსპერტები ქალაქის ქვეშ წრის გარშემო იმორაგებენ.

ალბათ, გაინტერესებთ, თუ როგორ ხდება გვირაბიდან მონგრეული ქანების ამოწოდვა.

აი, როგორ:

გვირაბში არსებობს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. არცთუ ისე დიდი ზომის ელექტრომატარებლებით და ურკებიტო უწყვეტად მოედინება მონგრეული ქანები და ჭაურებიდან სპეციალური ლიფტებით ესტაკადაზე ამოაქვთ დატვირთული ურკები, შემდეგ ეს ურკები მიემართებიან მოწრილი დოლის მსგავს წრფულ გადაყრავლებსაც; აქ ურკები გადაყრავლებიდან და ქანებზეც ბუნებრივად პირდაპირ მანქანის ძარავზე ირდება...

ვერტიკალური ჭაურის გარდა, თუ ეს მოსახერხებელია, ქანების გამოწოდვა აგრეთვე ცენტრალურ გვირაბამდე მისასვლელი გზის მეშვეობითაც ხდება. ასეთი გზა ბევრად აადვილებს შრომის პროცესს და გვირაბის გაყვანის დანქარების შესანიშნავი საშუალებაა.

ჩვენს დედაქალაქში 19 წელიწადია მტკვრის მშენებლობა მიმდინარეობს. მაგრამ შედარებით ამ მცირე დროის მანძილზე დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. გაივლის დრო და, მტკვრის საბურთალოზეც იქნება, ვარკეთილსა და დიდიშვილ ქროლებზე მიწისქვეშა ცისფერი ექსპრესები. ამ მიზნის განხორციელებას კი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და დიდი ენთუზიაზმი სჭირდება.

მართალია, მანქანებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია; ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მშრომელი ხალხის კეთილდღეობას ემსახურება, მძაფრად უტევს მიწისქვეშა კლდედან ქანებს და არნახულ წარმატებებსაც აღწევს.

თბილისი



მარჯობა სულ შემოვიდასი შედგომაც რომ დაუშვას გამოთვლის დროს, გვირაბის გაყვანის სამუშაო მატალ სავალალო შედეგს გამოიწვევს. ამ უზუსტად მათიგამართლებანიანობაზეა საშიში.

„სამუშაო“ — „ისინი“ ტრასაში სახელოვნად შრომობს გვირაბისგამართლებანიანობაზეა საშიში. კომპარტიული ბოჯო თბილისი თბილისი გვირაბისგამართლებანიანობაზეა საშიში. მათგან უზუსტად უსაზღვროდ. მაგრამსახელოვნად სამუშაო მატალ სავალალო შედეგს გამოიწვევს.



ფოტო 3. მანქანის.





მოქალაქე

კვირის

შანხაისკი მოთხრობა

არღმა ჩაჩანიძე

მატყარი ჯამალ ლოლა

ხუთი საათი იქნებოდა, ვალერიმ რომ გაიღვიძა. მაშინვე ადგა და ხელ-პირის დასაბანად გავიდა. მაგალიზე უკვე ეწყო საუზუნე. ვალერიმ ბიჭებიც გააღვიძა. ანდრო არ აძლგარა, უფუნებოლ ვარო.

— ისაუბრე მინც! — უთხრა ნუგზარმა.
— არა, მერე ვეამ, — თქვა ანდრომ და თავი კვლავ ბალიშზე მიღო.

დანარჩენებმა ისაუბრეს. ექვს საათზე დღევანდში კაღლა გამოჩნდა, უკან ვიღაც ქალი მოკვებოდა.

— თქვენი ერთი მეგობარი, მგონი, შეუძლოდა, ექვსი მოუფუნა, — თქვა კადილამ.

ნუგზარს სახზე გაოცება გამოეხატა.

— კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით ეგა? — შევიტყუე, — გაიცინა კადილამ.

ექიმა ანდროს მიაშურა. სანამ მეზღვაურები წნევის საწინააღმდეგო კოსტიუმებს იცვამდნენ, ექმი ანდროს სინჯავდა. მერე ისიც მისატყუნი გამოვიდა. კადილამ რაღაც უთხრა ამიტურად. ექიმა დინჯად უბასუბა. მეზღვაურები კადილას მიაჩერდნენ.

— საშიში არაფერია, ცოტა გადაღლილი და ეგაა. ექმი წამალს მისცემს და ზგალამდე ყველაფერი გაივლის. ანდროს მიხვდავენ, ჩვენ კი წვივდეთ.

— ექმიმ შენ გამოიბანე? — ჩურჩულით ჰკითხა გოგიმ ნუგზარს.

— არა. როგორც ჩანს, ისინი ისმენენ ჩვენს ყველა საუბარს. ჰოდა, ექიმიც გამოგვიგზავნეს.

— მამ, ქართული მარტო კადილას როდი სცოდნია.

— ჰო, ეტყობა, ქართული სხეებზეც იცინა.

კადილამ ლუკი ვახსნა. ლუკიდან პირდაპირ მანქანაში შევიდნენ. იქ რბილ სკამზე მთლად ახალგაზრდა იჯდა.

— ეს გახლავთ ჩემი ძმა დინჯი. — უთხრა კადილამ მეზღვაურებს.

— გამარჯობათ! — თქვა იმ ახალგაზრდამ.

— გაგიმარჯოთ! ქართული იცით? — გაესაუბრა ვალერი.

— მხოლოდ ერთადერთი სიტყვა — „გამარჯობათ“ იცის ქართულად, — თქვა კადილამ. იგი მძის გვერდით დაჯდა. დინჯამ რაღაც გრძელი იარაღი აიღო და კადილას მიაწოდა. კადილა სკამიანად შემობრუნდა მეზღვაურებისაკენ.

